№ _____

თბილისის არქიტექტურა

№ _____

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/3838-1

ნებართვის გაცემის თარიღი „01" 12 2011 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი 06 დეკემბერი 2011 წ.

ნებართვა ძალაშია 06 იანვარი 2013 წ.

დამკვეთი შ.პ.ს. „რეგიონ ლოჯისტიკი"

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი ავტოსადგური (ინფრასტრუქტურით) – III კლ.

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება, კლასი)

ქ. თბილისი, სექტორი გლდანი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ. №1/51)

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№ 01 / 11 / 13 / 001 / 051

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7.)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ბრძანება №01/313. 20.03.09 წ.

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შარტავას ქ№7.)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ჩრ 6/3838, 01.12.11.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური

(სახელი, გვარი)

ბ. ა. III და IV კლასის შენობა-ნაგებობის სანებართვო განყოფილების უფროსი

(თანამდებობა)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარბაძის 7
ტელ.(+995 32) 272 22 22 ფაქს.(+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 6/3838

" 01 " 12 2011

ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ. №1/51), შ.პ.ს. „მერცხალი პირველი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის (ინფრასტრუქტურით) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი – შ.პ.ს. „რეგიონ ლოჯისტიკი"
საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „სამეფო არქიტექტურა"
ავტორი – ლ. მამისაშვილი

საშუალები: - განცხადება №12/15556013; 28.11.11წ; 16.11.11წ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882010451528; საკადასტრო №01/11/13/001/051);
- თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.02.09 წლის №01/90 ბრძანება;
- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.03.09 წლის №01/313 ბრძანება და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/297-1;
- შ.პ.ს. „თრეიდ-სითი"-ს 28.11.11 წლის წერილი №02;

შენობის კლასი: III

მიწის ნაკვეთის ფართი	– 3310.00 მ²;
მოშენების ფართი	– 1559.00 მ²;
საერთო ფართი	– 3172.60 მ²;
მათ შორის:	
- კომერციული ფართი	– 2257.30 მ²;
- კორიდორების ფართი	– 755.00 მ²;
- სანკვანძის ფართი	– 51.40 მ²;
- კიბის უჯრედის ფართი	– 108.90 მ²;
სამშენებლო მოცულობა	– 15967.80 მ³;

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.05 წლის №140-ე დადგენილებისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ. №1/51), შ.პ.ს. „მერცხალი პირველი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის (ინფრასტრუქტურით) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2011 წლის 06 დეკემბრიდან 2013 წლის 06 იანვრის ჩათვლით;

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. მარტყოფის 7
ტელ.: (+995 32) 72 22 22 ფაქს.: (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

3. 1)განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დოკუმენტაცია:

1.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

1.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;

1.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად.

2)განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (*მის: ქ. თბილისი, 0160, ჯ. შარტავას ქ. №7*), ოფიციალური გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

– მშენებლობის ეტაპები: იატაკისა მოწყობა, კონსტრუქციების და გადახურვის მონტაჟი, ავტოსადგურის კედლების მოწყობა, სამშენებლო სამუშაოების დასრულება, ტერიტორიის კეთილმოწყობა.

- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაცნობა.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
  - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
  - აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
  - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;
  - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;
  - სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე;

    მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

    <u>შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.</u>

    მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.

    ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
  - უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
  - მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.
- სანებართვო პირობების მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

- დამკვეთი ვალდებულია, მიწის ნაკვეთის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი სამუშაოები შეათანხმოს ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი ვარგისად იქნას აღიარებული (მიღებული ექსპლუატაციაში) კანონით დადგენილი წესით.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი

კ. ნიაური

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 12/189565-16 28 12 2012 წ.

შპს „რეგიონ ლოჯისტიკი“-ს დირექტორს ზ. ლოსაბერიძეს
მის: ქ. თბილისი, სექტორი გლდანი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი,
1-ლი კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ.#1/51)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-6^2 მუხლის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის #7-25 გადაწყვეტილების შესაბამისად;

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის #7-25 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული წესით სამსახურისათვის გამცხადებით მომართვის შემთხვევაში სამსახური აცხადებს თანმობას განახორციელოს სახელმწიფო-ტენიკური ზედამხედველობის მომსახურება და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია შემდეგ სამშენებლო ობიექტზე:

შენობა–ნაგებობის მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი გლდანი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, 1-ლი კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ.#1/51)
შენობა–ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება: ავტოსადგომი
შენობა–ნაგებობის კლასი: - მე-3
მომსახურების ფორმა: ერთჯერადი შემოწმება
მოსაკრებლის ოდენობა: 1500 ლარი

ს ხ ვ ა ა რ ა კ ლ ა ს ი ფ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი მ ო ს ა კ რ ე ბ ე ლ ი
მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773194
გადახდის დანიშნულება: სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსმსახურების მოსაკრებელი.

პატივისცემით,

ინსპექტირების სამმართველოს უფროსი დ. ხარაიძე

მომსახურების ვადების გამოთვლის წესი

1. სამსახურის მიერ მომსახურების განხორციელებისთვის, განსაზღვრულ ვადებში არ იანგარიშება კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

2. ვადის ათვლა იწყება განცხადების სამსახურში რეგისტრაციის და თანხის სრულად გადახდის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღეს. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

3. განხორციელებული მომსახურების დროს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" საფუძველზე გაცემული რეკომენდაციით განსაზღვრული ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით.

გადახდილი მოსაკრებლის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება

1. თუ მოსაკრებელი გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, მოსაკრებლის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხას და დადგენილ განაკვეთს შორის;

2. გადახდილი მოსაკრებელი მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი განცხადების წარდგენამდე მოითხოვს თანხის უკან დაბრუნებას;

ბ) სამსახურმა უარი განაცხადა მომსახურების გაწევაზე

3. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა ნაკლები ოდენობა, მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება სხვა ფორმით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

4. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც წესი გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა მეტი ოდენობა, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი/დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია სხვა ოდენობით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

5. განმცხადებელს მომსახურებისთვის გადახდილი მოსაკრებელი უკან არ დაუბრუნდება თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსახურების პროცესი შეწყდეა ვადაზე ადრე:

ა) დამკვეთის მოთხოვნით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთმა რაიმე ფორმით თავად შეუშალა ხელი სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესს ან/და მის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს წარმომადგენელს;

გ) რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის პროცესი ერთის გარდა სხვა შემოწმებას არ ითვალისწინებს ან/და ადგილი აქვს მომსახურებით გათვალისწინებულ ბოლო შემოწმებაზე გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობას.

6. გადახდილი მოსაკრებლის ნაწილობრივ ან მთლიანად უკან დაბრუნება ან მისი გამოყენება იმავე ან სხვა მომსახურების ფორმისთვის ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან არა უგვიანეს 3 თვის განმავლობაში. მოსაკრებლის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, განცხადებას თან უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და დასაბრუნებელი თანხის მისაღებად გამოყოფილი ანგარიშის ნომერი. 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის უკან დაბრუნების ან მისი სხვაგვარად გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

7. გადახდილი მოსაკრებლის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ტარიფის გადახდა ეკისრება მოსაკრებლის გადამხდელს.

გავეცანი პირობებს და ვეთანხმები:
სახელი, გვარი, ხელმოწერა: _____

		კლიენტის კოდი	168864		
გადამხდელი:	ზურაბ ლოსაბერიძე				
ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილია სულ :	1501.05	გადარიცხვის საკომისიო:	1.05	GEL	

LB-10000168864

დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი:	404917603
მიმღები დასახელება:	
მიმღების ანგარიშის/სახაზინო კოდი:	300773194
მიმღების ბანკი/ხაზინა	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	
დამატებითი ინფორმაცია:	
ხელმოწერა:	

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 12/189565-16 03 01 2013 წ.

შ.პ.ს. „რეგიონ ლოჯისტიკი" დირექტორს ზ. ლოსაბერიძეს
მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი გლდანი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ. №1/51)

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი №12/189565-16 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25[1]-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) №01/313 20.03.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელი რაიონში, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვ. №1/51) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევების გათვალისწინებით:

კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილები, რითაც პირველ სართულზე გაზრდილია სართულის ფართი დაახლოებით 300.0 მ^2-ით, ხოლო მეორე სართულზე დაახლოებით 26.0 მ^2-ით. ორივე სართულზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები.

1-2 და ი-კ მონაკვეთებს შორის დამატებულია კიბე. 9-10 და 17-18 მონაკვეთებში შეცვლილია კიბისა და კიბის უჯრედის კონფიგურაცია, დამატებით მოწყობილია რიგელები. ამავე უჯრედების გარეთ შეცვლილია მცირე კიბეების კონფიგურაციაც. 27-29 მონაკვეთში თ-თ ღერძთან შეცვლილია ხვეული კიბის კონფიგურაცია, მეორე სართულზე გაუქმებულია ლითონის სვეტები, 31-33 მონაკვეთში ზ-ზ ღერძთან დამატებულია ანტრესოლზე ასასვლელი კიბე. 28-31 მონაკვეთში ბ-ბ ღერძთან გაუქმებულია ფანჯრის ღიობები. ამავე ღერძთან შეცვლილია კედლის კონფიგურაცია. თ-ლ და 1-2 მონაკვეთებს შორის და ასევე ა-დ და 26-34 მონაკვეთებს შორის გაზრდილია გადახურვის სიმაღლე. შეცვლილია გუმბათის კონფიგურაცია.

შეცვლილია ვიტრაჟების კონფიგურაციები და გაბარიტები. ფასადებზე დამატებულია მცირე ზომის ღიობები და წყალშემკრები მილები. წინა ფასადთან მოწყობილია ბორდიურები და სანიაღვრე არხები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

სამსახურის
უფროსისი მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**